

„დამტკიცებულია“

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი -
ბათუმის გენერალური დირექტორი

2024 წლის _____ N _____
ბრძანებით

„შეთანხმებულია“

შპს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –
საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახურის უფროსი

“ _____ ” _____ 2024 წელი

**შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი -
ბათუმის საგანგებო სიტუაციების მართვის
გ ე გ მ ა**

შემუშავებულია ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის საგანგებო შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის „___“ _____ №----- ბრძანებით (იხ. დანართი №1), საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად

2024 წელი
ბათუმის

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

I თავი

შესავალი

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის (შემდგომში „სკოლა პროგრესი“) საქმიანობის საფუძველს და „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების, მოსახლეობის და მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას.

1.1 სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

სკოლა პროგრესი მოქმედებს **№2 დანართში** წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად და უფლება აქვს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით, დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1.2 გეგმის მიზანია:

➤ ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და თანამშრომელთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა;

➤ სკოლის კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;

➤ საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სკოლის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა;

➤ მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე სკოლის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა;

➤ შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.

1.3. სკოლა პროგრესის განთავსების ტერიტორიის, შენობის აღწერა და ზოგადი მონაცემები

1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის **დირექტორი - ნანა ჩარეჩიშვილი**

1.3.2. თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის რაოდენობა:

- ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი - 43 ადამიანი;
- პედაგოგები-110 ადამიანი

1.3.3. ქ. ბათუმში, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N 30-ში, 4284.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: No05.26.28.053) შპს „ქართულ-ამერიკული აკადემია „პროგრესი“-ს (ს/კ 404597165) მიერ ახალაშენებული და სკოლისთვის იჯარით გადაცემული სკოლის შენობის ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა:

სკოლის ზოგადი აღწერა: სკოლის შენობა კომპლექსური ტიპისაა. განთავსებულია მარტივ რელიეფზე, მას სახელმწიფო და კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები ესაზღვრება, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან საზოგადოებრივი სივრცე. მას მთავარი მისადგომი გააჩნია ორბელიანის ქუჩის მხრიდან, კონფიგურაციით მიწის ნაკვეთის საზღვრებს მიუყვება პერიმეტრულად და ქმნის შიდა ეზოს. იგი იმეორებს ორბელიანის ქუჩის პირველი ხაზის შენობების დომინირებულ სიმაღლეს და ქმნის ერთიან ურბანულ სივრცით სტრუქტურას, ამავდროულად ორგანულად აბოლოებს კვარტლის კუთხეს ქუჩათა გადაკვეთაზე.

შენობა ორბელიანის ქუჩის მხრიდან წარმოადგენს სამ, ხოლო შამილაძის ქუჩიდან - ოთხ სართულს. შენობა წარმოადგენს კარკასული მონოლითური ტიპის სტრუქტურას, რომლის შემავსებლადაც გამოყენებულია პეშხის ბლოკის შემავსებელი. ფასადის ნაწილი გადაწყვეტილია დიდ ვიტრაჟებში, ნაწილი კი ქმნის ვიწრო მაღალი ვიტრაჟის მწყობრ რიტმს, რომელიც მოპირკეთებულია დეკორატიული აგურის მასალით. ფასადის ნაწილი არის შელესილ შედებილი. შენობის გადახურვას მესამე სართულზე წარმოადგენს ექსპლუატირებადი, ხოლო მეოთხე სართულზე არაექსპლუატირებადი ტერასა. შენობას ორბელიანის ქუჩაზე აქვს ორი ძირითადი გასასვლელი, შიდა ეზოს მხარეს კი - სამი გასასვლელი. შენობის ეზოს როგორც ორბელიანის ასევე, შამილაძისა და ჩიხის მხრიდან აქვს სამაჩანე ჭიშკარი რაც იძლევა საშუალებას ექსტრემალურ სიტუაციაში სახანძრო ან სამაშველო მანქანა მოხვდეს გამჭოლად და დაუბრკოლებლად სკოლის ტერიტორიაზე. მიწის ნაკვეთზე ასევე მდებარეობს ცალკე მდგომი სპორტდარბაზი, დამხმარე სივრცეებით და ტექნიკური შენობა. შენობა უზრუნველყოფილია უწყვეტი გაზმომარაგებით, წყლითა და ელექტროენერგიით.

ძირითადი შენობა: სკოლის შენობა შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან, პირველი ნაწილი განკუთვნილია საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ხოლო მეორე სპორტული აქტივობისთვის. შენობა აღჭურვილია სამხეფი, საავარიო განგაშის, კვამლის საკონტროლო, სახანძრო განგაშისა და ცეცხლამოძრენი სისტემებით, ასევე სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი (ჰიდრანტი) მისაერთებლებით.

სკოლის საგანმანათლებლო ნაწილი ოთხ სართულიან ბრტყელ გადახურულ შენობას წარმოადგენს, მაქსიმალური სიმაღლე გრუნტთან შეხების ხაზიდან 16.80 მ-ია. პირველი სართულიდან მესამე სართულის ჩათვლით განთავსებულია საკლასო ოთახები I-XII კლასისთვის. ასევე, პირველ სართულზე განთავსებულია დაცვის ოთახი, კაფეტერია, სამზარეულო, ექიმის კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი და ბიბლიოთეკა. მეორე სართულზე ინფორმატიკის ოთახი, ბიოლოგიის და ქიმიის ლაბორატორიები. მესამე სართულზე ფიზიკის ლაბორატორია. მეოთხე სართულზე განთავსებულია დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, სათათბირო და საკონფერენციო დარბაზი. შენობაში გათვალისწინებულია კლას-ლაბორატორიები პროფესიული და უწყვეტი განათლების დასაწერად.

დამხმარე შენობა: შენობის მეორე ნაწილი წარმოადგენს ერთ სართულიან ლითონის ფერმით გადახურულ შენობას (სპორტდარბაზი), მისი სიმაღლე +/-0.00 ნიშნულიდან გადახურვის კეხამდე 8.90 მ-ია, მაქსიმალური სიმაღლე გრუნტთან შეხების ხაზიდან 9.30 მ-ია. შენობა დათმობილია სპორტული

აქტივობისთვის, ასევე, წარმოდგენილია გასახდელები, საშხაპე სივრცეები, სველი წერტილები, მწვრთნელის ოთახი და სპორტული ინვენტარის შესანახი ფართი.

სკოლა მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. მოწყობილია პანდუსები, ლიფტი, საპირფარეშოები, საშხაპეები და გასახდელები.

სპორტული დარბაზის გვერდით, ქუჩის მოსაზღვრედ მოწყობილია ტექნიკური შენობა, რომელშიც განთავსებულია ელ. გამანაწილებელი და სატრანსფორმატორო დანადგარები, მის ქვეშ კი განთავსებულია წყლის რეზერვუარები და სანასოსე სადგური.

კონსტრუქციული გადაწყვეტილებით, შენობის მზიდ კონსტრუქციებად გამოყენებულია რკ. ბეტონის კარკასი. სამირკვლის ტიპი წერტილოვანია. ყველა გამოყენებული კედლის ტიპი ინარჩუნებს ერთსაათიან და მეტ უწყადობას.

შენობა დაგეგმარებულია საქართველოს კანონის - საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, მასზე დაქვემდებარებული სამართლებრივ-ნორმატიული აქტების და „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად.

1.4. სკოლა პროგრესის საგანგებო შტაბი და მისი ფუნქციონალური მოვალეობები

სკოლაში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. საგანგებო შტაბის უფროსი არის სკოლის დირექტორი. შტაბის უფროსს ჰყავს მოადგილე (აღმასრულებელი მენეჯერი), რომელიც შტაბის უფროსის არყოფნისას ან უფროსის მიერ უფლებამოსილების დელეგირებისას ასრულებს შტაბის უფროსის მოვალეობას. სკოლის საგანგებო შტაბის უფროსი და მოადგილე, საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად, გეგმის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და ჯგუფების უფროსებთან თანამშრომლობით კოორდინაციას უწევენ რეაგირების ძალებსა და საშუალებებს, მუდმივად უკავშირდებიან შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ოპერატიულ მორიგეს და არსებული სიტუაციის შესახებ ამზადებენ წერილობით მოხსენებებს.

ინფორმაცია საგანგებო შტაბის წევრების თაობაზე წარმოდგენილია №3 დანართში.

საგანგებო შტაბი ახორციელებს:

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შიდაუწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებას;
- რეაგირების ძალებისათვის მითითებების მიწოდებას და მათ კოორდინირებას;
- ზემდგომი უწყების მიერ განსაზღვრული დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებას, შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავებასა და ადრესატებამდე მიწოდებას;
- სამოქმედო ამოცანების დასახვას და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებას;
- მხარდამჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას;
- მოკვლევებისა და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

N	საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია/საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციის დასახელება	ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა, რომელთანაც შეთავსებულია საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	საგანგებო შტაბის წევრის საკურატორო ფუნქციის აღწერის დანართი
1	საგანგებო შტაბის უფროსი	სკოლის დირექტორი	დანართი № 3 პუნქტი №1
2	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე	აღმასრულებელი მენეჯერი	დანართი № 3 პუნქტი №2
3	ევაკუაციის საკითხებში პასუხისმგებელი პირი, ჯგუფების უფროსი	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	დანართი № 3 პუნქტი №3
4	მატერიალურ ტექნიკური მომარაგების ჯგუფისა და თავშესაფრის მომსახურების ჯგუფის უფროსი	ლოჯისტიკის მენეჯერი	დანართი № 3 პუნქტი №4
5	სახანძრო - სამაშველო ჯგუფების უფროსი	ელექტრიკოსი	დანართი № 3 პუნქტი №5
6	კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტი	დანართი № 3 პუნქტი №6
7	სამედიცინო რეაგირების ჯგუფისა და ქიმიური და რადიაციული რეაგირების ჯგუფის უფროსი	ექთანი	დანართი № 3 პუნქტი №7
8	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი	სკოლის უსაფრთხო კოორდინატორი	დანართი № 3 პუნქტი №8

1.5 არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა.

ადრეული გაფრთხილების სისტემას წარმოადგენს მოსწავლეების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და თანამშრომლების შეტყობინება ელექტრო და ტექნიკური ზარის გამოყენებით, რომელიც სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის განუწყვეტლად 3-4 წუთის განმავლობაში, ასევე რუპორით (ხმის გამაძლიერებელი). ამასთან, შტაბის წევრების შეტყობინება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით, ხოლო მოსახლეობის - პოლიციის მიერ საპატრულო მანქანების ხმამაღლა მოლაპარაკების საშუალებით.

1.6. სკოლა პროგრესის მისამართზე სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. მოცემულია N10 დანართის მიხედვით.

II თავი

საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერა.

საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული 2015-2018 წწ. საფრთხეების შეფასების ეროვნული დოკუმენტის” (ნოემბერი 2015) საფუძველზე.

2.1 ქ. ბათუმის მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა

ქ. ბათუმის სეისმური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-ეკოლოგიური ზოგადი დახასიათების საფუძველზე არსებობს შემდეგი სახის საფრთხეები: **ხანძარი, ძლიერი სეტყვა ქარიშხლით და წყალდიდობით, მიწისძვრა.**

2.2. ქ. ბათუმის რისკის შეფასების დრო: 2024

2.3 ქ. ბათუმის რისკის შეფასების მეთოდოლოგია: სტატისტიკურ-ალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის ხარისხობრივ შეფასებას. რისკის შემცირების ჯგუფის მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებული იქნა სკოლის განთავსების ტერიტორიაზე მომხდარი ბუნებრივი მოვლენები და შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა.

2.4. ქ. ბათუმის რისკის შეფასების შედეგები:

რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან გამოვლინდა შემდეგი რისკები:

N	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის მახასიათებელი ქულა
1	ხანძარი	3	4	12
2	მიწისძვრა	2	3	6
3	ძლიერი სეტყვა ქარიშხლით	2	3	6
4	წყალდიდობა	2	3	6

რისკი N1 აღწერა: სკოლის კონსტრუქციული გადაწყვეტილებით, შენობის მზიდ კონსტრუქციებად გამოყენებულია რკ.ბეტონის კარკასი. საძირკვლის ტიპი წერტილოვანია. ყველა გამოყენებული კედლის ტიპი ინარჩუნებს ერთსაათიან და მეტ უწყავობას. სკოლის შენობების მესამე და მეოთხე სართულის გადახურვად განსაზღვრულია ბრტყელი გადახურვა შესაბამისი იზოლაციებით. მესამე სართულის ბრტყელი გადახურვის ნაწილი გამოყენებულია ექსპლუატირებად ტერასად, კერძოდ, მოწყობილია აწეული იატაკის სისტემა (**false floor**), რომელზეცაა დაგებული ფილები. ტერასა შემოსაზღვრულია 1.2 მ სიმაღლის მოაჯირით. სპორტული დარბაზის გადახურვად კი გამოყენებულია როგორც ბრტყელი გადახურვა (შესაბამისი იზოლაციებით) ასევე ქანობიანი. ქანობიანი სახურავით გადახურულია უშუალოდ სპორტული დარბაზი, მასალად კი გამოყენებულია სენდვიჩ პანელი. შენობა ელექტრიფიცირებულია. შესაძლებელია შეიქმნას სახანძრო სიტუაცია.

რისკი N2 აღწერა: მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმში მიწისძვრის ალბათობა (მითუმეტეს ძლიერი მიწისძვრა) საკმაოდ დაბალია. მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს შენობის ნგრევა, ხანძრების წარმოქმნა, კომუნალურ ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოყვანა. დარღვეულ იქნეს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემა.

რისკი N3 აღწერა: ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ძლიერი სეტყვა ქარიშხლით, განსაკუთრებით გაზაფხულზე და შემოდგომაზე, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს შენობას.

რისკი N4 აღწერა: ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ძლიერი სეტყვა ქარიშხლით, განსაკუთრებით გაზაფხულზე და შემოდგომაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მცირე (0,5 მ) წყალდიდობა 3-5 საათის განმავლობაში. აღნიშნულმა გარემომებამ შეიძლება შეაფერხოს საევაკუაციო ღონისძიებები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დღემდე მსგავსი მასშტაბური მოვლენა არ დაფიქსირებულა.

2.5. სკოლა პროგრესის საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა

გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა ობიექტზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი N1 რისკის მიხედვით: ხანძრის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს აფეთქებები, გადაიწვას ელექტრო-სისტემა, ცეცხლი მოეკიდოს საწყობს, ოთახებს, ლაბორატორიებს. ხანძრის შემთხვევაში შესაძლებელია ადამიანთა დაშავება და მსხვერპლიც.

სცენარი N2 რისკის მიხედვით: მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს ობიექტზე არსებული შენობა-ნაგებობების ნგრევა, კომუნალურ, ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოსვლა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლა. დიდი მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლებელია პერსონალის დაღუპვა და ხანძარიც.

სცენარი N3 რისკის მიხედვით: ძლიერმა სეტყვამ და ქარიშხალმა შესაძლებელია გამოიწვიოს უმართავი სიტუაცია. კერძოდ, საფრთხე ექმნება შენობის გაყვანილობებს, შესაძლებელია, დააზიანოს ენერგო და გაზომომარაგების საშუალებები და საქვავები, გვერდით ახლომდგომი შენობებიდან წამოდებულმა მასალამ შესაძლოა დაამტვრიოს სკოლის ფანჯრები, დააზიანოს ვიტრაჟები.

რისკი N4 აღწერა: წყალდიდობამ შეიძლება შეაფერხოს საევაკუაციო ღონისძიებები - შეიძლება დროებით დაიტბოროს სკოლის ტერიტორიის 5 გასასვლელიდან - 3.

III თავი

სკოლის გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

3.1 ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია:

3.1.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით: ელექტრო სისტემის გადამოწმება, ცეცხლმაქრების, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემის და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის გაკონტროლება, დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევი სამედიცინო მასალის და მედიკამენტების გადამოწმება და შევსება, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 4.1.)

3.1.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით: საოფისე ავეჯის და ინვენტარის შემოწმება, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 4. 2.)

3.1.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით: შენობაში საოფისე ინვენტარის განთავსების შესაძლებლობა მათი დაზიანების თავიდან აცილების გამო, ფანჯრებისა და ვიტრაჟების გადამოწმება, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 4.3.)

3.1.4 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N4 რისკის მიხედვით: სკოლის ტერიტორიაზე გადამოწმდეს სანიაღვრე არხები, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და

მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 4. 4).

3.2 ფაზა II: მზადყოფნა

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის საგანგებო შტაბი იხილავს პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათადარიგო სამოქმედო და დროებითი თავშესაფრისათვის უსაფრთხო ადგილებს, განაახლებს პერსონალის საევაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს.

მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა.

ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათი ინფორმირების, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

3.2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით: მოსწავლეებისათვის, პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება ხანძართან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, მოსწავლეებისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგების/სწავლების დაორგანიზება, საევაკუაციო წვრთნა, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N5.1)

3.2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით: მოსწავლეებისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება მიწისძვრასთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, მოსწავლეებისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგების/სწავლების დაორგანიზება, საევაკუაციო წვრთნა, რისკის შემცველ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით, სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N5.2.)

3.2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით: მოსწავლეებისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება სეტყვის, ძლიერი ქარის, ქარიშხლისა და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, მოსწავლეებისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგების/სწავლების დაორგანიზება, საევაკუაციო წვრთნა, შენობა-ნაგებობის მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N5.3.)

3.2.4 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N4 სცენარის მიხედვით: სკოლის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გადამოწმება - შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N5.4.)

3.3. ფაზა III. რეაგირება

3.3.1 შენობის ევაკუაციის გეგმა – წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (იხილეთ დანართი N 9) სკოლაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების რეაგირების ჯგუფები. (იხილეთ დანართი N 11)

3.3.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით: სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე - 112, საევაკუაციო გეგმის მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე, სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში ჩართვა კომპეტენტური პირების და ტექნიკის, ხალხის აღრიცხვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 6.1.)

3.3.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით: სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე- 112, საევაკუაციო გეგმის მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე, სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში ჩართვა კომპეტენტური პირების და ტექნიკის, ხალხის აღრიცხვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 6.2.)

3.3.4 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით: განგაშის გამოცხადება და შეტყობინება, სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე- 112, საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 6.3.)

3.3.5 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №4 სცენარის მიხედვით: განგაშის გამოცხადება და შეტყობინება, სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე- 112, საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 6.4.)

3.4 ფაზა IV. აღდგენა

3.4.1 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით: განადგურებული ტექნიკის მოშორება, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 7.1.)

3.4.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით: განადგურებული ტექნიკის მოშორება, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 7.2.)

3.4.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით: მიყენებული ზარალის აღრიცხვა/შეფასება, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება, დაზიანებული შენობის შეფასება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 7.3.)

3.4.4 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №4 სცენარის მიხედვით: დაზიანებული შენობის შეფასება, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი N 7.4.)

V თავი

გეგმის დანართები

დანართის №	დანართის დასახელება
1	ბრძანება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების და საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ
2	სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი
3	საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები
4	ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
5	ფაზა II. მზადყოფნა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
6	ფაზა III. რეაგირება – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების, გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმების მიხედვით
7	ფაზა IV. აღდგენა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით საგანგებო რეჟიმში
8	ოპერატიული ცენტრის/საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა
9	შენობებიდან ევაკუაციის გეგმები
10	სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა
11	რეაგირების ჯგუფების შემადგენლობა (სიები)

ბრძანება N-----

**შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის შენობებში
საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე
განხორციელების მიზნით, საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცებისა და საგანგებო
შტაბის შექმნის შესახებ**

საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 და „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის შენობებში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, შეიქმნას საგანგებო შტაბი, შემდეგი შემადგენლობით:

- 1.1 საგანგებო შტაბის უფროსი - **სკოლის დირექტორი ნანა ჩარეჟიშვილი**
- 1.2. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე - **სკოლის დირექტორის მოადგილე გოგიტიძე**
- 1.3. ევაკუაციაზე პასუხისმგებელი პირი - **შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი გიორგი ზირაქიშვილი (შპს „ჯეო სეიფთი“ - კონტრაქტორი)**
- 1.4 მატერიალურ ტექნიკური მომარაგების ჯგუფისა და თავშესაფრის მომსახურების ჯგუფის უფროსი - **ლოჯისტიკის მენეჯერი მურად ბერიძე**
- 1.5. სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი - **ელექტრიკოსი ლევან თურმანიძე.**
- 1.6. კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი - **ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტი გიორგი ჯინჭარაძე**
- 1.7. სამედიცინო რეაგირების ჯგუფის უფროსი / ქიმიური და რადიაციული რეაგირების ჯგუფის უფროსი - **ექთანი შორენა კეკელიძე**
- 1.8. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი - **უსაფრთხო სკოლის კოორდინატორი ვაჟა კაკაბაძე.**

2. შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, ამ ბრძანების დანართის გათვალისწინებით დამტკიცდეს თანდართული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

3. სკოლა პროგრესიში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, ამ ბრძანების დანართის გათვალისწინებით დამტკიცდეს საგანგებო შტაბის წევრების თანდართული ფუნქციონალური მოვალეობები;

4. ამ ბრძანებისა და შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებაზე კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექტორი ნანა ჩარეჟიშვილი.

5. დაევალოს საქმისწარმოებისა და ადმინისტრაციის სამსახურის მენეჯერს ლაურა შავაძეს აღნიშნული ბრძანების შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის თანამშრომლებისათვის გაცნობა.

6. საჯაროობის მიზნით, დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტ - გიორგი ჯინჭარაძეს აღნიშნული ბრძანების და მისი დანართის განთავსება შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის ოფიციალურ ვებგვერდზე.

7. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში .

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის
გენერალური დირექტორი

.....
ნინო ჩიკვაშვილი

სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (27.06. 2018 წ.);
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილება „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის № 51 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №153 დადგენილება “საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ”;
6. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №154 დადგენილება “უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე”;
7. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის № 452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
9. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №453 დადგენილება „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №4 დადგენილება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის №577 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის N590 დადგენილება „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
